



2023 წ.

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიური მიმოხილვა (იანვარ-თებერვალი)

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge



საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, მარტი, 2023 წ.



2023 წლის იანვარ-თებერვალში:


- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა **3,036.1 მლნ ლარი** შეადგინა, რაც წლიური გეგმის 13.9%-ს, ხოლო 3 თვის გეგმის 64.1%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ძირითადი წილი, 92.1%-ის ოდენობით, მოდის **საგადასახადო შემოსავლებზე**, რომელიც, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად შემოსულობებში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებმა **3,025.5 მლნ ლარი** შეადგინა, რაც წლიური გეგმის 13.8%-ს, ხოლო 3 თვის გეგმის 62.6%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ძირითადი წილი, 81.7%-ის ოდენობით, მოდის **ხარჯებზე**, რომელიც, ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით, ხოლო მისი წილი გადასახდელებში აღემატება 2021 წლის მონაცემს და მცირედით ჩამორჩება 2022 წლის მაჩვენებელს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის დაგროვებამ **10.6 მლნ ლარი** შეადგინა და 2023 წლის 1 მარტისთვის ნაშთი **1,258.2 მლნ ლარის** ოდენობით განისაზღვრა.

სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 21,914.2 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდელების გეგმა - 21,880.1 მლნ ლარის ოდენობით. 2023 წლის იანვარ-თებერვალში შემოსულობების შესრულება შეადგენს 3,036.1 მლნ ლარს (წლიური გეგმის 13.9%) და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 24.8 მლნ ლარით (0.8%-ით) ჩამორჩება, ხოლო გადასახდელების შესრულება - 3,025.5 მლნ ლარს (წლიური გეგმის 13.8%) და 381.6 მლნ ლარით (14.4%-ით) მეტია წინა წლის იანვარ-თებერვლის მაჩვენებელთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების წლიური გეგმებისა და 2 თვის შესრულების მაჩვენებლები.

2014-2023 წწ. შემოსულობებისა და გადასახდელების 2 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით



დიაგრამა 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების 2 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით 2014-2023 წლებში (მლრდ ლარი, %).

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 3 თვის გეგმა განსაზღვრულია¹ 4,733.3 მლნ ლარით, ხოლო 2 თვის შესრულება მის 64.1%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, 3 თვის გეგმის მიმართ შესრულების კარგი მაჩვენებლით ხასიათდება შემოსავლები - 69.3%, ფინანსური აქტივების კლების კომპონენტის შესრულება მაღალი დონით გამოირჩევა (94.4%). არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტის შესრულება 3 თვის გეგმის მხოლოდ 0.4%-ია, ხოლო ვალდებულებების ზრდის კომპონენტის შესრულება -51.0 მლნ ლარს შეადგენს, ერთი მხრივ, საგარეო ვალდებულებების 204.6 მლნ ლარით ზრდისა და მეორე მხრივ, საშინაო ვალდებულებების ზრდის მუხლით წმინდა შემოსულობების 255.6 მლნ ლარით შემცირების გავლენით.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 3 თვის გეგმა განსაზღვრულია 4,835.7 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 2 თვის შესრულება 3 თვის გეგმის 62.6%-ს შეადგენს. რაც შეეხება გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების, შესრულების მაჩვენებელი 3 თვის გეგმის 62.4%-ს უტოლდება. შესრულების შედარებით მაღალი მაჩვენებელი აქვს არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტს - 3 თვის გეგმის 71.2%, ვალდებულებების კლებისა და ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტები კი შესრულების დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება (შესაბამისად, 3 თვის გეგმის 54.1% და 37.3%).


¹ „საქართველოს 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 29 დეკემბრის №437 ბრძანება.

დასახელება	2023 წლის გეგმა	3 თვის გეგმა	2 თვის შესრულება	2 თვე/3 თვის გეგმა	დასახელება	2023 წლის გეგმა	3 თვის გეგმა	2 თვის შესრულება	2 თვე/3 თვის გეგმა
შემოსულობები	21,914.2	4,733.3	3,036.1	64.1%	გადასახდელები	21,880.1	4,835.7	3,025.5	62.6%
შემოსავლები	17,619.9	4,335.8	3,005.3	69.3%	ხარჯები	16,335.2	3,964.4	2,473.1	62.4%
არაფინანსური აქტივების კლება	200.0	28.0	0.1	0.4%	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,881.3	515.4	366.9	71.2%
ფინანსური აქტივების კლება	450.0	86.5	81.7	94.4%	ფინანსური აქტივების ზრდა	445.1	40.9	15.3	37.3%
ვალდებულებების ზრდა	3,644.3	283.0	-51.0	-18.0%	ვალდებულებების კლება	1,218.5	315.1	170.3	54.1%

ცხრილი 1: 2023 წლის 2 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შესრულება კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %).

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდო² 2 თვეში შეადგინა 532.2 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდო³ - 165.5 მლნ ლარი. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლების 2 თვის საოპერაციო სალდოს და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

2014-2023 წლების 2 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო



დიაგრამა 2: 2014-2023 წლების 2 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო (მლნ ლარი)

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაბუსტებული ნაშთის მოცულობამ შეადგინა 1,247.6 მლნ ლარი. იანვარ-თებერვალში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით ნაშთის დაგროვებამ 10.6 მლნ ლარი შეადგინა და 2023 წლის 1 მარტისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი განისაზღვრა 1,258.2 მლნ ლარის ოდენობით.

² საოპერაციო სალდო წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას. იგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სიდიდე.


³ მთლიანი სალდო წარმოადგენს საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილებას და გვიჩვენებს ბიუჯეტის პროფიციტის (დადებითი სიდიდე) ან დეფიციტის (უარყოფითი სიდიდე) მოცულობას.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების თებერვლისთვის მარვენებლები

2023 წლის თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 1,443.8 მლნ ლარი, რაც 148.4 მლნ ლარით ნაკლებია იანვრის მარვენებლებზე, ხოლო წინა წლის თებერვლის მარვენებელს 91.4 მლნ ლარით აღემატება. რაც შეეხება 2023 წლის თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტიდან განეულ გადასახდელებს, მისი ოდენობა შეადგენს 1,528.1 მლნ ლარს, რაც იანვრის მარვენებლებზე 30.7 მლნ ლარით მეტია, ხოლო 2022 წლის თებერვლის მარვენებელთან შედარებით გაზრდილია 235.9 მლნ ლარით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2021-2023 წლებში თვეების მიხედვით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2021-2023 წლებში თვეების მიხედვით




დიაგრამა 3: სახელმწიფო ბიუჯეტო შემოსულობები და გადასახდელები 2021-2023 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით:

შემოსულობების ფორმირება ძირითადად განხორციელდა შემოსავლების (95.6%) ხარჯზე. ვალდებულებების აღების შედეგად ბიუჯეტში ჩაირიცხა 50.8 მლნ ლარი (შემოსულობების 3.5%), ხოლო ფინანსური აქტივების კლების მარვენებელმა 13.3 მლნ ლარი შეადგინა, არაფინანსური აქტივების კლების მარვენებელმა კი - 1.9 ათასი ლარი.


შემოსულობები კომპონენტების მიხედვით



2023
ვალდებულებების ზრდა, არაფინანსური აქტივების კლება, შემოსავლები, ფინანსური აქტივების კლება

დიაგრამა 4: შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

გადასახდელები კომპონენტების მიხედვით




2023
ვალდებულებების კლება, არაფინანსური აქტივების ზრდა, გადასახდელები, ფინანსური აქტივების ზრდა, ხარჯები

დიაგრამა 5: გადასახდელები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

2023 წლის თებერვალში ხარჯების მარვენებელმა 1,243.1 მლნ ლარი შეადგინა, არაფინანსური აქტივებისა და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელებმა, შესაბამისად - 220.5 მლნ ლარი და 7.0 მლნ ლარი, ხოლო ვალდებულებების კლების მარვენებელი 57.5 მლნ ლარს გაუტოლდა.

შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების მიმოხილვა, რაზეც თებერვალში მიღებული შემოსავლების 94.9%, ხოლო მთლიანი შემოსულობების 90.7% მოდის. კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 1,309.6


გადასახადები სახეების მიხედვით



დიაგრამა 6: გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

მლნ ლარი, იანვრის მაჩვენებელზე (1,488.1 მლნ ლარი) 178.5 მლნ ლარით ნაკლები. წინა თვესთან შედარებით (გარდა მოგების გადასახადისა და სხვა გადასახადისა⁴, რომელთა სახითაც მიღებულია, შესაბამისად, 58.5 მლნ ლარით და 106.7 მლნ ლარით მეტი) ყველა გადასახადი შემცირებულია. კლება ძირითადად მოდის საშემოსავლო (187.6 მლნ ლარით) და დამატებული ღირებულების გადასახადებზე (121.8 მლნ ლარით), აქციზიდან შემოსავალი შემცირებულია 33.0 მლნ ლარით (ძირითადად იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან სააქციზო შემოსავლის კლების გავლენით), ხოლო იმპორტის გადასახადი - 1.3 მლნ ლარით.

ხარჯები სახეების მიხედვით



დიაგრამა 7: გაწეული ხარჯები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება გადასახდელების ყველაზე დიდ კომპონენტს, ხარჯებს, იგი თებერვალში გაწეული მთლიანი გადასახდელების 81.3%-ს შეადგენს. კერძოდ, ხარჯებმა თებერვალში შეადგინა 1,243.1 მლნ ლარი, წინა თვის მაჩვენებელზე (1,229.9 მლნ ლარი) 13.2 მლნ ლარით მეტი, რაც დაკავშირებულია სოციალური უზრუნველყოფის (55.1 მლნ ლარით), სუბსიდიების (53.7 მლნ ლარით), საქონლისა და მომსახურების (43.6 მლნ ლარით), სხვა ხარჯებისა (16.5 მლნ ლარით) და შრომის ანაზღაურების (8.9 მლნ ლარით) მუხლებით ხარჯების ზრდასთან. წინა თვესთან შედარებით შემცირებულია პროცენტის (147.6 მლნ ლარით), აგრეთვე, გრანტების (17.1 მლნ ლარით) მუხლების დაფინანსება.

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2023 წლის თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ შეადგინა 136.6 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - -83.9 მლნ ლარი.


გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ თებერვალში მიღებული შემოსულობებისა (1,443.8 მლნ ლარი) და გაწეული გადასახდელების (1,528.1 მლნ ლარი) გათვალისწინებით, თებერვლის თვეში ნაშთის გამოყენებამ შეადგინა 84.3 მლნ ლარი.

⁴ 2016 წელს სახაზინო კოდეხის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში (ძირითადად ეს ეხება საშემოსავლო გადასახადს), საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2023 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მაჩვენებელმა 3,036.1 მლნ ლარი შეადგინა. შემოსულობების ფორმირება ძირითადად განხორციელდა შემოსავლების (3,005.3 მლნ ლარი) ხარჯზე, რომელიც (როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე წილობრივად მთლიან შემოსულობებში) 2021-2022 წლებთან შედარებით მომატებულია, ძირითადად გადასახადების ზრდის გავლენით. ფინანსური აქტივების კლების სახით მიღებულ იქნა 81.7 მლნ ლარი, რაც მთლიანი შემოსულობების 2.7%-ს შეადგენს და მნიშვნელოვნად აჭარბებს წინა წლების მაჩვენებლებს (2022 წელს აღნიშნული შემოსულობების წილი მთლიან შემოსულობებში შეადგენდა 0.6%-ს, ხოლო 2021 წელს 0.7%-ს). მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (წინა წლების მსგავსად), არაფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობების წილი მთლიან შემოსულობებში მცირეა და 0.004%-ს შეადგენს. რაც შეეხება ვალდებულებების ზრდის მუხლის მაჩვენებელს, აღნიშნული კომპონენტი წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებულია და -51.0 მლნ ლარს შეადგენს, რაც დაკავშირებულია საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდით შემოსულობების კლებასთან.

2021-2023 წწ. 2 თვის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით




დიაგრამა 8: 2021-2023 წწ. 2 თვის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

შემოსავლების სახით 2 თვეში მიღებულია 3,005.3 მლნ ლარი, კვარტალური გეგმის 69.3% და წლიური გეგმის 17.1%, ხოლო წინა წლის მაჩვენებელს 553.3 მლნ ლარით (22.6%-ით) აჭარბებს. რაც შეეხება შემოსავლების შესრულებას კომპონენტების დონეზე, 3 თვის გეგმის მიმართ, კარგი შესრულების დონით ხასიათდება გადასახადები, ხოლო გრანტებისა და სხვა შემოსავლების მაჩვენებლები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გამოირჩევა.

იანვარ-თებერვალში მიღებული საგადასახადო შემოსავლები 2,797.6 მლნ ლარს, 3 თვის გეგმის 68.2%-ს და წლიური გეგმის 17.2%-ს შეადგენს. 3 თვის გეგმის მიმართ ყველა გადასახადის შესრულება (გარდა მოგების გადასახადისა, რომელიც შესრულების შედარებით დაბალი, 40.9%-იანი მაჩვენებლით ხასიათდება) მობილიზების მაღალი დონით გამოირჩევა და 70.3%-82.0%-ს ფარგლებში მერყეობს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გადასახადების მოცულობა 584.5 მლნ ლარით (26.4%-ით) არის გაზრდილი. აღნიშნული მატება ძირითადად განპირობებულია საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადების, შესაბამისად, 27.9%-იანი და 17.5%-იანი ზრდით.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 161.9 მლნ ლარით (24.3%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარ-თებერვალში დღგ-ს სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 1,038.5 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 154.6 მლნ ლარით მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან შემოსულია 156.0 მლნ ლარით მეტი, ხოლო იმპორტირებული პროდუქციიდან - 1.4 მლნ ლარით ნაკლები). წინა წელთან შედარებით, 25.5%-ით (55.5 მლნ ლარით) გაზრდილია აქციზი, ძირითადად, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის 40.6 მლნ ლარით ზრდის გავლენით (მათ შორის, იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან აქციზის სახით მიღებულია 34.1 მლნ ლარით (57.0%-ით) მეტი შემოსავალი).



დიაგრამა 9: 2022-2023 წწ. 2 თვის გადასახადები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

გრანტების ფაქტობრივი მაჩვენებელი (72.4 მლნ ლარი) შესრულების მაღალი დონით გამოირჩევა, 3 თვის გეგმის 82.8%-ს და წლიური გეგმის 25.9%-ს შეადგენს, რაც დაკავშირებულია ბიუჯეტის მხარდამჭერ გრანტებთან, რომლის სახით 2 თვეში ბიუჯეტში მიღებულია 3 თვის გეგმით გათვალისწინებული მაჩვენებლის 104.6% (60.0 მლნ ლარი). ბიუჯეტში მიღებულია, აგრეთვე, საინვესტიციო გრანტები 0.8 მლნ ლარის და ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით შემოსავალი 0.1 მლნ ლარის ოდენობით. გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტში აისახა საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 11.4 მლნ ლარის ოდენობით.

სხვა შემოსავლების სახით 2 თვეში ბიუჯეტში მობილიზებულია 135.3 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 90.7% და წლიური გეგმის 12.9%. ძირითადი შემოსავალი (45.5%) მიღებულია საკუთრებიდან (კერძოდ, პროცენტის სახით, 58.5 მლნ ლარის ოდენობით) და არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან (29.2%, 39.5 მლნ ლარის ოდენობით).

რაც შეეხება შემოსულობების სხვა დანარჩენი კომპონენტების შესრულებას:

არაფინანსური აქტივების კლების მუხლით იანვარ-თებერვალში მიღებული შემოსულობები (0.1 მლნ ლარი) მცირეა და 3 თვის გეგმის 0.4%-ს შეადგენს. აღნიშნული შემოსულობები მთლიანად მიღებულია ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან.

ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობების სახით (კერძოდ, გაცემული სესხების დაბრუნებიდან) 2 თვეში მიღებულია 81.7 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 94.4% (წლიური გეგმის 18.1%), რაც წინა წლის მაჩვენებელს 63.4 მლნ ლარით (4.5-ჯერ) აღემატება.

ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები მაჩვენებელი -51.0 მლნ ლარს შეადგენს, საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდით შემოსულობების შემცირების გავლენით. კერძოდ, საგარეო დაფინანსების წყაროდან მიღებულია 204.6 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 93.9%. მათ შორის, საინვესტიციო კრედიტები შეადგენს 125.3 მლნ ლარს (3 თვის გეგმის 57.5%), ხოლო საბიუჯეტო კრედიტების სახით ბიუჯეტში შემოსულია 79.4 მლნ ლარი (თუმცა 3 თვის გეგმით მისი მიღება გათვალისწინებული არ არის).

	2 თვის შესრულება	შესრულება 3 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
ვალდებულებების ზრდა	-51.0	-18.0%	-1.4%
საგარეო	204.6	93.9%	9.1%
საბიუჯეტო კრედიტები	79.4		19.8%
საინვესტიციო კრედიტები	125.3	57.5%	6.8%
საშინაო	-255.6	-393.3%	-18.3%


ცხრილი 2 : 2023 წლის 2 თვეში ვალდებულების ზრდის მუხლით მიღებული შემოსულობა (მლნ ლარი, %)

რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელს, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებულმა წმინდა შემოსულობამ -255.6 მლნ ლარი შეადგინა.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2023 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მაჩვენებელმა 3,025.5 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 81.7%-ის ოდენობით, მოდის ხარჯებზე, რომელიც ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით, ხოლო მისი წილი გადასახდელებში აღემატება 2021 წლის მონაცემს და მცირედით ჩამორჩება 2022 წლის მაჩვენებელს. კერძოდ, 2021 წლის 2 თვეში, ხარჯების წილი გადასახდელებში შეადგენდა 80.0%-ს, ხოლო 2022 წლის 2 თვეში - 82.5%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს, არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას, 2023 წლის იანვარ-თებერვალში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელმა მთლიანი გადასახდელების 12.1% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის შესრულების მაჩვენებელმა - 0.5% და ვალდებულებების კლების შესრულების მაჩვენებელმა - 5.6%. 2022 წლის იანვარ-თებერვალში მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო შესაბამისად, 11.8%-ის, 0.2%-ის და 5.5%-ის ოდენობებით, ხოლო, 2021 წლის 2 თვეში - 11.6%-ის, 1.5%-ის და 6.9%-ის ოდენობებით.


2021-2023 წწ. 2 თვის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით



დიაგრამა 10: გადასახდელების კომპონენტების შესრულებები 2021-2023 წლების იანვარ-თებერვალში (მლნ ლარი)

ხარჯების შესრულებამ იანვარ-თებერვალში შეადგინა 2,473.1 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 62.4% და წლიური გეგმის 15.1%, რაც 2022 წლის მაჩვენებელზე 291.5 მლნ ლარით (13.4%-ით) მეტია. აღნიშნული სხვაობა დაკავშირებულია, წინა წელთან შედარებით, ხარჯების ყველა კომპონენტის მაღალ შესრულებასთან. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სხვაობის დიდი წილი მოდის პროცენტის (121.2 მლნ ლარი) მუხლზე. 3 თვის გეგმასთან მიმართებით შესრულების მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა პროცენტის (81.7%) მუხლი. შესრულების კარგი მაჩვენებლით ხასიათდება სხვა ხარჯების (65.4%) და სოციალური უზრუნველყოფის (65.8%) მუხლები, ხოლო, 3 თვის გეგმასთან მიმართებაში შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება შრომის ანაზღაურების (58.6%), სუბსიდიების (52.5%), საქონელი და მომსახურებისა (51.6%) და გრანტების (49.6%) მუხლები.

პროცენტის მუხლის შესრულებიდან (263.3 მლნ ლარი) საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა 194.3 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 68.9 მლნ ლარი. სოციალური უზრუნველყოფის მუხლის შესრულებიდან (1,026.2 მლნ ლარი) დიდი წილი მოდის მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე (801.8 მლნ ლარი), მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა (149.2 მლნ ლარი) და დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე (54.0 მლნ ლარი).



დიაგრამა 11: 2022-2023 წწ. 2 თვის ხარჯები მუხლების მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება გადასახდელების სხვა დანარჩენი კომპონენტების შესრულებას:

არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულება (366.9 მლნ ლარი) 3 თვის გეგმის 71.2%-ს და წლიური გეგმის 9.5%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელების დიდი წილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (173.9 მლნ ლარი), რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (58.7 მლნ ლარი), საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (39.9 მლნ ლარი), თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (30.2 მლნ ლარი) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (25.9 მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელი (15.3 მლნ ლარი), 3 თვის გეგმის 37.3%-ს და წლიური გეგმის 3.4%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელები მოდის:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამების ფარგლებში გაცემულ სესხებზე:
 - ✓ „სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება“ (პროგრამული კოდი 24 14) - 12.2 მლნ ლარის ოდენობით;
 - ✓ „ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU)“ (პროგრამული კოდი 24 19) - 0.3 მლნ ლარის ოდენობით;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამის „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 04)“ ფარგლებში გაცემულ სესხებზე 2.6 მლნ ლარის ოდენობით;
- დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში გაცემულ სესხებზე 0.1 მლნ ლარის ოდენობით.

ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება (170.3 მლნ ლარი) შესრულების დაბალი დონით ხასიათდება და 3 თვის გეგმის 54.1%-ს შეადგენს, ხოლო, წლიური გეგმასთან მიმართებით 14.0%-ს. აღნიშნული მაჩვენებლის დიდი წილი, 167.7 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

	2 თვის შესრულება	შესრულება 3 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
ვალდებულებების კლება	170.3	54.1%	14.0%
საგარეო	167.7	55.5%	14.3%
საშინაო	2.6	20.4%	6.1%

ცხრილი 3: ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება 2023 წლის 2 თვეში (მლნ ლარი, %)

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 2 თვის შესრულება მოიცავს **დამატებით 2 პროგრამულ კოდს**, რომლის ფარგლებშიც მოხდა ასიგნებების ათვისება, ესენია:

- „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა“ (პროგრამული კოდი - 26 10) – 0.1 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ (პროგრამული კოდი - 63 00) – 0.1 მლნ ლარის ოდენობით;

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული **საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების** შესრულებას, იანვარ-თებერვალში საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიიმართა 430.9 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 67.9% და წლიური გეგმის 17.9%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა შეადგინა 81.0 მლნ ლარი, საიდანაც 13.1 მლნ ლარი წარმოადგენს კაპიტალურ ტრანსფერს, 64.5 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს და 3.4 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს. იანვარ-თებერვალში დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე მიიმართა 54.0 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე

წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მოხდა შესაბამისად 19.9 მლნ ლარის, 2.2 მლნ ლარის და 0.6 მლნ ლარის ათვისება.

იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის⁵ მიხედვით შეადგინა 2,839.9 მლნ ლარი (3 თვის გეგმის 63.4% და წლიური გეგმის 14.0%), ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში:

2023 წლის 2 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია



დიაგრამა 12: 2023 წლის 2 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მლნ ლარი).

გამოყენებული მონაცემების წყარო:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია საქართველოს 2014-2023 წლების იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია 2022-2023 წლების იანვარ-თებერვალში საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ.

⁵ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელო 2014 (GFSM 2014) მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოგვიდგენს ინფორმაციას სამთავრობო ფუნქციებისა და მიზნების მიხედვით გაწეული დახარჯების შესახებ.

დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 2 თვის შემოსულობა	2022 წლის 2 თვის შემოსულობა	2023 წლის წლიური გეგმა	2023 წლის 3 თვის გეგმა*	2023 წლის 2 თვის შემოსულობა	2023 წლის 2 თვის შემოსულობა / 2023 წლის 3 თვის გეგმა		2023 წლის 2 თვის შემოსულობა / 2022 წლის 2 თვის შემოსულობა		2023 წლის 2 თვის შემოსულობა წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
შემოსულობები	2,873.1	3,060.9	21,914.2	4,733.3	3,036.1	-1,697.2	64.1%	-24.8	-0.8%	13.9%
შემოსავლები	1,930.9	2,452.0	17,619.9	4,335.8	3,005.3	-1,330.5	69.3%	553.3	22.6%	17.1%
გადასახადები	1,654.1	2,213.1	16,290.4	4,099.3	2,797.6	-1,301.6	68.2%	584.5	26.4%	17.2%
საშემოსავლო გადასახადი	519.6	747.4	5,140.0	1,266.0	956.1	-309.9	75.5%	208.7	27.9%	18.6%
მოგების გადასახადი	137.5	238.3	2,000.0	695.0	284.6	-410.4	40.9%	46.3	19.4%	14.2%
დღგ	570.4	883.9	6,670.4	1,478.3	1,038.5	-439.8	70.3%	154.6	17.5%	15.6%
აქციზი	169.6	217.6	2,100.0	333.0	273.1	-59.9	82.0%	55.5	25.5%	13.0%
იმპორტის გადასახადი	9.5	14.5	130.0	25.0	18.3	-6.7	73.1%	3.7	25.7%	14.1%
სხვა გადასახადები	247.4	111.4	250.0	302.0	227.1	-74.9	75.2%	115.7	103.8%	90.8%
გრანტები	176.7	134.3	279.6	87.4	72.4	-15.1	82.8%	-62.0	-46.1%	25.9%
სხვა შემოსავლები	100.1	104.5	1,050.0	149.1	135.3	-13.8	90.7%	30.8	29.4%	12.9%
არაფინანსური აქტივების კლება	0.6	0.01	200.0	28.0	0.1	-27.9	0.4%	0.1	664.3%	0.1%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის ბამოკლებით)	18.8	18.3	450.0	86.5	81.7	-4.8	94.4%	63.4	346.2%	18.1%
ვალდებულებების ზრდა	922.9	590.5	3,644.3	283.0	-51.0	-334.0	-18.0%	-641.5	-108.6%	-1.4%
საგარეო	1,204.0	220.3	2,244.3	218.0	204.6	-13.4	93.9%	-15.7	-7.1%	9.1%
საშინაო	-281.1	370.2	1,400.0	65.0	-255.6	-320.6	-393.3%	-625.9	-169.0%	-18.3%
გადასახდელები	2,488.2	2,643.9	21,880.1	4,835.7	3,025.5	-1,810.2	62.6%	381.6	14.4%	13.8%
ხარჯები	1,990.5	2,181.5	16,335.2	3,964.4	2,473.1	-1,491.3	62.4%	291.5	13.4%	15.1%
შრომის ანაზღაურება	274.3	286.8	2,236.7	556.3	325.8	-230.5	58.6%	39.0	13.6%	14.6%
საქონელი და მომსახურება	211.0	238.1	2,025.5	508.8	262.7	-246.1	51.6%	24.6	10.3%	13.0%
პროცენტი	140.1	142.1	1,201.0	322.2	263.3	-59.0	81.7%	121.2	85.3%	21.9%
სუბსიდიები	100.3	80.8	927.6	226.3	118.7	-107.6	52.5%	37.9	47.0%	12.8%
გრანტები	65.9	101.8	1,275.8	256.5	127.2	-129.4	49.6%	25.4	25.0%	10.0%
სოციალური უზრუნველყოფა	904.4	985.6	6,447.9	1,560.4	1,026.2	-534.1	65.8%	40.6	4.1%	15.9%
სხვა ხარჯები	294.6	346.4	2,220.7	533.9	349.1	-184.7	65.4%	2.7	0.8%	15.7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	287.4	311.8	3,881.3	515.4	366.9	-148.5	71.2%	55.1	17.7%	9.5%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის ბამოკლებით)	37.5	4.2	445.1	40.9	15.3	-25.6	37.3%	11.1	266.3%	3.4%
ვალდებულებების კლება	172.7	146.4	1,218.5	315.1	170.3	-144.8	54.1%	23.9	16.4%	14.0%
საგარეო	151.0	143.5	1,175.6	302.2	167.7	-134.5	55.5%	24.2	16.8%	14.3%
საშინაო	21.7	2.9	42.9	12.9	2.6	-10.3	20.4%	-0.2	-7.8%	6.1%
ნაშთის ცვლილება (+ დაბროვება / - ბამოყენება)	384.9	417.0	34.1	-102.4	10.6	113.0		-406.4		

* 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №437)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 2 თვის შესრულება	2022 წლის 2 თვის შესრულება	2023 წლის წლიური გეგმა	2023 წლის 3 თვის გეგმა	2023 წლის 2 თვის შესრულება	2023 წლის 2 თვის შესრულება / 2023 წლის 3 თვის გეგმა		2023 წლის 2 თვის შესრულება / 2022 წლის 2 თვის შესრულება		2023 წლის 2 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
შემოსავლები	1,930.9	2,452.0	17,619.9	4,335.8	3,005.3	-1,330.5	69.3%	553.3	22.6%	17.1%
გადასახადები	1,654.1	2,213.1	16,290.4	4,099.3	2,797.6	-1,301.6	68.2%	584.5	26.4%	17.2%
გრანტები	176.7	134.3	279.6	87.4	72.4	-15.1	82.8%	-62.0	-46.1%	25.9%
სხვა შემოსავლები	100.1	104.5	1,050.0	149.1	135.3	-13.8	90.7%	30.8	29.4%	12.9%
ხარჯები	1,990.5	2,181.5	16,335.2	3,964.4	2,473.1	-1,491.3	62.4%	291.5	13.4%	15.1%
შრომის ანაზღაურება	274.3	286.8	2,236.7	556.3	325.8	-230.5	58.6%	39.0	13.6%	14.6%
საქონელი და მომსახურება	211.0	238.1	2,025.5	508.8	262.7	-246.1	51.6%	24.6	10.3%	13.0%
პროცენტი	140.1	142.1	1,201.0	322.2	263.3	-59.0	81.7%	121.2	85.3%	21.9%
სუბსიდიები	100.3	80.8	927.6	226.3	118.7	-107.6	52.5%	37.9	47.0%	12.8%
გრანტები	65.9	101.8	1,275.8	256.5	127.2	-129.4	49.6%	25.4	25.0%	10.0%
სოციალური უზრუნველყოფა	904.4	985.6	6,447.9	1,560.4	1,026.2	-534.1	65.8%	40.6	4.1%	15.9%
სხვა ხარჯები	294.6	346.4	2,220.7	533.9	349.1	-184.7	65.4%	2.7	0.8%	15.7%
საოპერაციო სალდო	-59.7	270.5	1,284.7	371.4	532.2	160.8	143.3%	261.8	96.8%	41.4%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	286.9	311.8	3,681.3	487.4	366.7	-120.6	75.3%	55.0	17.6%	10.0%
ზრდა	287.4	311.8	3,881.3	515.4	366.9	-148.5	71.2%	55.1	17.7%	9.5%
კლება	0.6	0.01	200.0	28.0	0.1	-27.9	0.4%	0.1	664.3%	0.1%
მთლიანი სალდო	-346.5	-41.3	-2,396.6	-115.9	165.5	281.4	-142.8%	206.8	-500.6%	-6.9%
ფინანსური აქტივების ცვლილება	403.6	402.9	29.2	-148.0	-55.8	92.2	37.7%	-458.7	-113.9%	-191.1%
ზრდა	422.4	421.2	479.2	40.9	25.8	-15.0	63.2%	-395.3	-93.9%	5.4%
ვალუტა და დეპოზიტები	384.9	417.0	34.1	0.0	10.6	10.6		-406.4	-97.5%	31.1%
სესხები	37.5	4.2	445.1	40.9	15.3	-25.6	37.3%	11.1	266.3%	3.4%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		
კლება	18.8	18.3	450.0	188.9	81.7	-107.3	43.2%	63.4	346.2%	18.1%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	102.4	0.0	-102.4	0.0%	0.0		
სესხები	18.8	18.3	450.0	86.5	81.7	-4.8	94.4%	63.4	346.2%	18.1%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		
ვალდებულებების ცვლილება	750.2	444.2	2,425.8	-32.1	-221.3	-189.2	689.6%	-665.5	-149.8%	-9.1%
ზრდა	922.9	590.5	3,644.3	283.0	-51.0	-334.0	-18.0%	-641.5	-108.6%	-1.4%
საშინაო	-281.1	370.2	1,400.0	65.0	-255.6	-320.6	-393.3%	-625.9	-169.0%	-18.3%
საგარეო	1,204.0	220.3	2,244.3	218.0	204.6	-13.4	93.9%	-15.7	-7.1%	9.1%
კლება	172.7	146.4	1,218.5	315.1	170.3	-144.8	54.1%	23.9	16.4%	14.0%
საშინაო	21.7	2.9	42.9	12.9	2.6	-10.3	20.4%	-0.2	-7.8%	6.1%
საგარეო	151.0	143.5	1,175.6	302.2	167.7	-134.5	55.5%	24.2	16.8%	14.3%
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2023 წლიური გეგმა	2023 წლის 3 თვის გეგმა	2023 წლის 2 თვის შესრულება	2023 წლის 2 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	2023 წლის 2 თვის შესრულება 3 თვის გეგმასთან მიმართებაში %
00 00	სულ ჯამი	21,880.1	4,835.7	3,025.5	13.8%	62.6%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	77.5	19.2	12.5	16.1%	65.0%
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	63.7	15.7	10.6	16.7%	67.5%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხებდველო საქმიანობა	23.5	5.9	3.1	13.2%	52.4%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა	7.9	2.0	1.2	15.6%	62.4%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	32.4	7.8	6.3	19.4%	80.2%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	32.4	7.8	6.3	19.4%	80.3%
01 01 03 02	გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება	0.1	0.01	0.001	2.8%	11.3%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	12.0	3.0	1.6	13.4%	53.6%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.6	0.2	0.1	11.7%	45.1%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.1	0.3	0.2	14.7%	57.4%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	9.3	3.2	1.5	15.6%	45.3%
03 00	საქართველოს ბიზნესობიექტების აპარატი	0.8	0.2	0.1	14.0%	55.9%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	24.0	7.4	4.0	16.7%	54.2%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	21.3	6.5	2.7	12.7%	41.5%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	56.0	13.4	5.1	9.1%	37.8%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	21.6	4.8	2.8	12.8%	57.9%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1.6	0.5	0.2	11.5%	40.0%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	12.7	3.2	2.1	16.7%	66.7%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	20.0	5.0	0.0	0.0%	0.0%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	5.8	1.6	0.6	10.9%	40.4%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	16.1	4.3	2.1	13.3%	49.9%
09 00	საერთო სასამართლოები	117.0	25.2	12.9	11.1%	51.4%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	114.5	24.5	12.7	11.1%	52.0%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	2.5	0.6	0.2	7.7%	30.7%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	7.9	2.5	0.7	9.1%	29.2%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხორწყის, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.3	0.4	0.2	19.0%	62.7%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.3	0.2	14.8%	52.1%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, სანხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1.3	0.4	0.2	19.4%	60.2%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, სვანეთის, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.3	0.2	20.1%	66.8%

კოდი	დასახელება	2023 წლიური გეგმა	2023 წლის 3 თვის გეგმა	2023 წლის 2 თვის შესრულება	2023 წლის 2 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	2023 წლის 2 თვის შესრულება 3 თვის გეგმასთან მიმართებაში %
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.3	0.2	15.3%	49.6%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.3	0.2	16.1%	53.2%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.0	0.3	0.2	17.5%	62.5%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.3	0.6	0.2	13.3%	32.7%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1.0	0.3	0.2	17.9%	59.9%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	180.0	46.8	27.0	15.0%	57.6%
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	147.7	36.9	21.2	14.4%	57.5%
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	30.0	9.3	5.4	18.2%	58.8%
20 03	უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	2.4	0.6	0.3	12.5%	47.7%
21 00	საქართველოს პროკურატურა	56.5	14.5	7.5	13.3%	51.8%
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	3.7	1.3	0.4	10.3%	28.4%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	106.0	27.9	11.6	11.0%	41.7%
